№ 184 აგვისტო 28, სამშაბათი 1890 აგვისტო 28, სამშაბათი № 184



| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიის სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა, ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კვეზერელი კოსაძენი დიდის მწუხარებით აუწყებენ თავისის უსაყვარლესის დედის, სოფიო რომანის ასულის, გარდაცვალებას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზე საკუთარს სახლიდგან კახეთის ქუჩაზე, ავლაბარში, წმ. მარინეს ეკლესიამი, სამშაბათს, ამ თვეის 28 დილით, 9½ საათზედ.

(1—1)

ცეცხლის ზიანის
მზღვეველ საზოგადოების „ЯКОРЬ"-ის
აგენტი ქუთაისში
ილია მირიანის-ძე ჭყონია

იღებს საზღვევად ყველგან ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში შენობებს, მოძრავს ქონებას და ზღვით ანუ ხმელეთით გასაგზავნს საქონელს. ადრესი: ქუთაისი, ი. მ. ჭყონია. (3—2)


## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყვეთ, ამ თვეში უნდა გამოვიდეს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლის სამსონ დათეშიძის მიერ შედგენილი ქართული დედანი.

*** ამას წინად მოხსენებული გვქონდა პოლიციის ამბავში, რომ ოქრომჭედელმა არშაკ არუთინას ძემ ბეგლიაროვმა მაგარის სასმელით გულმუცელი დაიწვაო. ბეგლიაროვს ორი დღე უცოცხლია და სამკურნალოში გადაცვლილა.

*** ბ-ნ მიხეილ ქლენთისაგან მივიღეთ დ. ჩოხატაურში შეკრებული შვიდი მანეთი, ნახევარი წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის გადასაცემად და ნახევარიც განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე იყო 952 მან. 82 კაპ. ეხლა არის 956 მან. 32 კაპ. აქვე მოგვყავს სია ზემოხსენებულ შვიდის მანათის შემომწირველთა: მიხეილ ქლენთი 3 მან. 60 კაპ., ალექსანდრე კალანდაძე 1 მან., ხეტუა ბერაძე 1 მან., ლეონტი ჭელიძე 40 კაპ., გიორგი ბერაძე 20 კაპ., თომა თოდრია 20 კაპ, გიორგი შარაშიძე 40 კაპ., ირაკლი ჯაყელი 20 კაპ.

*** წიფა: სურამის გვირაბის კურთხევა 30 აგვისტოსთვის არის დანიშნული, მაგრამ შეიძლება ორი კვირა კიდევ დაიგვიანდეს, რადგან გვირაბში გზების გაყვანა ჯერ არ არის დამთავრებული, სხვა ფრივ-კი ყველაფერი მზად არის.

*** საღოლაშენი (გორის მაზრა): 26 აგვისტოს ეწვია ჩვენს სოფელს გრაფინია უვაროვისა თავის ქალებით და ჩამოხდა აქაურის მემამულის თ. ს. ამირეჯიბის სახლში. გრაფინიამ გასინჯა აქაური ღვთის-მშობლის ეკლესია, დაათვალიერა ძველი ხატები და ხელნაწერები, რომელთა შორის მისი ყურადღება მიიქცია ეტრატზე ნაწერმა ქართულმა მინიატურებიანმა სახარებამ; გრაფინიას თან ახლდა ფოტოგრაფი. ფოტოგრაფმა მისის ბრძანებით გადიღო სურათი ერთის ძველის შევერცხლილისა და ოქროში დაფერილის ძველის - ძველის ხატისა, სახარების შევერცხლილის ყდისა, რომელზედაც ასო მთავრულით კარგა დიდი ზედ-წარწერა იყო. გრაფინია მობრძანდა წრომიდამ, სადაც გასინჯა წრომის დიდი ძველებური ეკლესია წმ. რაქდენისა. 26 აგვისტოსვე დილით გრაფინია გაეშურა ს. ბრეთისა და მერე არბოსაკენ საგერისთოდ.

*** ბორჯომი, 23 აგვისტო. გუშინ-წინ მოგწერეთ აქაურს ტყეში ცეცხლის გაჩენის ამბავი. მას აქეთ, ცეცხლი თუ არა ჰმატულობს, არა სცხრება. ბევრსა სცდილობენ იმის გაქრობას, მაგრამ ვერა მოეხერხა-რა. აქაური ჯარის-კაცთა როტა, როგორც უკეთუ უწყით, უკვე მოქმედობს; გუშინაც ახალციხიდგან 2 ბატალიონი ჯარი მოიყვანეს და სხვა-და-სხვა ადგილას გააწყვეს. შიშის ზარმა მოიცვა მთელი ბორჯომი. ცეცხლი ბორჯომს 12 ვერსის მანძილზე ჰმორავს და, ამბობდნენ, რომ ერთის დღის განმავლობაში მოსალოდნელია, მთელს ბორჯომსაც მოედვასო. ბოლოს ხმა გავარდა, რომ ერთს ალაგას ცეცხლს შუაში მოუმწყვდევია მთელი როტა თავის აფიცრით, მმართველი აქაურის მამულისა და ერთი მეტყევე და იმათი დახსნა განსაცდელისაგან ყოვლად შეუძლებელიაო... განუსაზღვრელმა მწუხარებამ მოიცვა ყველანი. სალამოსვე ყველაფერი გამოირკვა: მართალია, ისინი ცეცხლში მოჰყოლიან, მაგრამ მშვიდობიანად-კი გადარჩენილან. თითქმის ერთს დღეს პატარა მინდორზე ყოფილან და იმათ გარშემო ცეცხლს გიზგიზი გაჰქონდა თურმე. მეორე დღეს, როგორც იყო, ცოტაოდნად მინელებულს ცეცხლზე გამოუვლიან და მხოლოდ ტანისამოსი შემოჰბუგვიათ, სხვაფრივ არაფერი დაჰშავებიათ. ცეცხლს ერთის სოფლის გლეხნი სრულიად უსახლ-კაროდ დაუტოვებია და, როგორც ამბობენ, სხვა სოფლებსაც იგივე ბედი მოელის. მოაგარაკენი, და თვით მკვიდრნიც ისე არიან დაშინებულნი, რომ სცდილობენ აქაურობას ჩქარა გაეცალონ; მართლაც-და, ამ ორ-სამს დღეში ძალაზე დაცარიელდა ბორჯომი. ბარგითა და მგზავრებით სავსე ეტლები ერთი-ერთმანეთზე მწკრივად ხაშურისაკენ მიეშურებიან. შორაპნის მაზრაშიაც უფეთქნია ცეცხლს და, ამბობენ, დიდ სივრცეზედაც არის მოდებულიო. ბორჯომის მამულის დასავლეთის ნაწილს იქიდგანაც მოელის შიში, რადგან ცეცხლი ძალიან ახლოს არისო. ამ თავითვე ყოველივე ღონისძიებაა ხმარებული ამ უბედურებს ასაცილებლად. ტყის დარაჯნი და ჯარის კაცნი ყოველს წუთას მზად არიან, ხელი შეუშალონ. ამბობენ აწყვერის (ახალციხ. მაზრა) ეგრედ წოდებულ „პატარა სტამბოლშიაც" იწვისო ტყე. ახალციხიდგან ჩამოსულები ამბობენ, რომ მთელი ქალაქი კვამლშია გახვეულიო.

*** ბ-ნი თ. დ. ქორდანია გვწერს, რომ ხაშურიდგან ხუთს ვერსზე, მტკვარს გაღმა, ს. წვიმეთში, ტყიანს მთაზე აღმოჩნდა მოდიდო ეკლესია ქვითნაშენი შესანიშნავის წარწერებით: 1)

## ფელეტონი

### დროთა ბრუნვა

(შემდეგი*)

მეორე მოქმედება

(იალღაშვილების სახლში)

(სცენა წარმოადგენს ევროპიულ-აზიურ გემოვნებაზე მდიდრულად მორთულს სამ-კარებიანს სასტუმრო ოთახს)

#### I გამოსვლა

იალღაშვილი, ლუკა და სანდრო

(იალ. სტოლთანა ზის, ლუკა და სანდრო იქვე დგანან)

იალ. მაშ ველარ მოახერხებს ქალაქში წასვლას რაღა, არა მაშ, ლუკა?

ლუკა. საიდამ? იმ სამოც თუმნიდამ რაღაც ოცი თუმანი-ღა დარჩენია; დილას რომ ველაპარაკებოდი იმ საქმეზე, კნიაზმა შაბათს ვახშამზე დამპატიჟა ლაბაზანას ტრახტინში, ქალებსაც უნდა დაუძახოვო.

იალ. ჰა, ჰა, ჰა, რა ბედოვლათი ვინმეა! თმები ბატიეთ გასთეთრებია, გასათხოვარი ქალი სახლში უზის და კიდევ ქალებისაკენ იწევს? იმ ოც თუმანსაც ხომ იქ დახარჯავს, დამრჩება ცარიელი. მერე ქალაქში უნდა წავიდეო, ვარდის უბანსაც-კი ვერ გასცილდება! ეხლაა ჩემი საქმის დრო! შენ ხო კილოზე შეატყე, რო უარს არ იქნება! ერთი კიდევ მიამბე, როგორ დაუწყე, დაჯე, კაცო! დაჯე შენც, სანდრო!

ლუკა. ნუ შესწუხდები! (დაჯდება) უარს თავის დღეშიაც არ იტყვის, აბა რა აქვს, რითი გაიტანოს თავი? შორიდგან დაუწყე რაღა: უთხარ, რომა ძალიან საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდი-მეთქი კნიაზო, ოჯახი დაგეღუპა-მეთქი, ქალი გასათხოვარი გყავს-მეთქი, მაგას მზითევი უნდა-მეთქი, შენ შვილს ოც-და-ხუთი მანეთი თითონაც არ ეყოფა-მეთქი; აქეთ უთხარ, იქით უთხარ, ბოლოსა ვკითხე, როდის აპირობ ქალაქში წასვლასა-მეთქი? გამიჯავრდა, შენ რა გეკითხებაო? არაფერი, კნიაზო, ისე გკითხე-მეთქი, მგონი ხაზეინს თქვენთან დასალაპარაკებელი საქმე აქვს-მეთქი ქალაქის ვაჭრებთან. მე ოხერო, მე რა პრიკაშჩიკი ვარ შენი ხაზეინისაო; თუ საქმე აქვს, თითონ ვერ მეტყვისო; ჰო, აი დღეს სადილადა ვარ დაპატიჟებული ოჯახიანათ იმათასა და, თუ რამე სათქმელი აქვს, მეტყვისო. კინაღამ არ გამიწყრა რაღა! მერე უთხარ: კნიაზჯან, მოდი მიკადრე, ტრახტინში შევიდეთ და ვისაუზმოთ-მეთქი; ამაზე უარს არ გამიხდა, მხარზედაც ხელი დამკრა: ეგ გინდოდა გეთქვა, წინათვე ვერ იტყოდიო, კინაღამ გაუწყრეთით ერთმანეთსაო! ხაზეინჯან, მოვატანინე ერთი ხელადა კარდანახული ღვინო და ზაკუსკები, მანეთი და ორი აბაზი დამიჯდა, ბოლოს გავაბით რაღა ლაპარაკი, ეჩივლა თავის სიღატაკეზე, გალანძღა თელაველები, თქო, თუ იალღაშვილისთანა პატიოსანი კაცი თელავში არ არის, რომ თქვენა ხართ რაღა იმისი ერთად-ერთი ძმა და მეგობარი! ღვთის წინაშე, ცრემლიც-კი წამოუვიდა!

იალ. ბევრჯელ არი ჩემგან დავალებული. მე რომ არა ვყოფილიყავი, ეხლა მთელი ოჯახი შიმშილით ამოეხოცებოდა. მერე, მერე!

ლუკა. მეც აკი უთხარი, რომ თქვენ ყოველთვის, იმის ოჯახის ფიქრში ხართ, რომ თქვენთვის სასიამოვნოა...

იალ. რა არის სასიამოვნო? როგორ შეიძლება მაგისთანების თქმა? ყველაფერი ისე უნდა გამაიყვანო, რო ჩემთვინ სამძიმოა იმათი შველა, მაგრამ ვითომ კაცობა მატანს რაღა ძალას, მეგობრობა გაუწიო; თორე კნიაზები, არ იცი, რა უმადურები არიან, ევონება, რომ ჩემი ქონება იმისი სანახევრო წისქვილია!

ლუკა. მაშ, ხაზეინჯან, მეც სუ მაგას არ ვეუბნები, ვერ გითხარ ისე, თორე სუ შენ გუნებაზე მოვიქეცი.

იალ. მერე?

ლუკა. როცა ბიძები შაუსხდნენ რაღა, მხიარულ გუნებაზე შაიქმნა, ვეუბნები თუ, კნიაზჯან, — ძალიან ფრთხილად ვეუბნები, ერთი სიტყვით! ქალს არ ათხოვებ-მეთქი?—ქალს, ბიჭო, რა გათხოვება უნდა, იმისი ბედი, რამდენი ხანია, გადაწყვეტილიაო!—როგორა მეთქი?—მითომ არა ვიცი რა! მთელმა ქვეყანამ იცის და შენ როგორ დაბრმავდი და დაყრუვდიო! ტეირიკაანთ გიორგის ვერ იცნობს ჩემი ქალის საქმროავო?—მე ვითომ ძალიან გამიკვირდა: როგორ, კნიაზ, განა როდის დანიშნე-მეთქი შენი ქალი?—რას მიედ-მოედები, რა დანიშვნა უნდათ, ერთმანეთის სიყვარულით გაგიჟებულანო!—ვაიმე, ვაიმე, ვაიმე,—ვითომ ძალიან ვიწყინე!—რა ფოკუსნიკი ვინმე ყოფილა-მეთქი, ის ხო გურჯაანელ თამროს ირთავს-მეთქი, კვირას დაუნიშნავთ ქორწილი მეთქი!—ერთი გაჯავრდა, ერთი გაჯავრდა, კინაღამ მცემა; მასპინძლობასა სცა პატივი, თორემ მცემდა. მერე ცოტა იფიქრა, იფიქრა და თქო, მე რაო, ეგ ხო ქალ-ვაჟის საქმეაო, შენ რა საქმე გაქვს თორემაო? მე, კნიაზჯან, გული შამტკივა-მეთქი: აბა რა გაქვს-მეთქი, ერთი სანახევრო წისქვილის მეტი, ერთი წლის საგძალ ფქვილს ვერც-კი შამოგიტანს მეთქი; ან გიორგის რა აქვს-მეთქი, იმას შენი იმედი ექნებოდა-მეთქი; შევატყო რომ არაფერს მისცემდი სამზითვოდ, იმიტომ გაექცა შენ ქალსა მეთქი; არ იცი ეხლანდელ დროში, თუ ქალი უმზითვოა, ეშმაკიც არ წაიყვანს-მეთქი?—მერე, ბიჭო, შენ რაო?—მე ისე ვამბობ, გული შემტკივა შენთვინა მეთქი. თქვენ კეთილშობილებო ძალიან ამპარტავნები ხართ მეთქი, თუ კეთილშობილი არა, ქალს არ მიათხოვებთ მეთქი არავისა! თუ ქალმა მაიწონა, მე რა საქმე მაქვსო, იმის ქმართან მე ხომ არ დავწვები, თითონ დაწვებაო! მაშ, კნიაზჯან, ვთქოთ, ვაჭარმა ან ვაჭრის შვილმა რომ ითხოვოს შენი ქალი, მისცემდი-მეთქი?—რა მინდა ჩემი ქალისაგან, ჩემი ქალი გიორგის მისთხოვდებაო. არა, კნიაზ, ისე, სლუჩაია რო იყოს, ვთქოთ, გიორგიმ უარი თქო?—წავიდეს, თუნდ კიკას მისთხოვდესო! ჰი, ჰი, ჰი!..

იალ. ლუკა! კეთილი მონა ხარ, კარგად მოგიხერხებია საქმე!

ლუკა. მერე ჩამაცივდა, უთუოდ რამე იციო და არ გინდა გამიმჟღავნოო?—არაფერი, კნიაზჯან, მეთქი, ისე გეკითხებოდი, გული მეწვება შენთვინ-მეთქი; გონია ხაზეინს-კი შენთან საქმე უნდა ჰქონდეს-მეთქი.

იალ. ეგ სრულებით ტყუილად გითქვამს; აბა რა საჭიროა, ერთი მითხარ, იმაზე მეტი, რაც უთხარი? სუ საქმე გააფუჭე ამით ეჰ, რად იცი ხან-და-ხან გონების დაფანტვა!

ლუკა. ხაზეინჯან, მე ხომ არ მითქვამს, რა საქმე გაქვს, ან ხომ ისე პირდაპირ ლაპარაკს არ დაუწყობ? მაშ მაჭანკალს არ მიუგზავნი, არაფერს დაჰპირდები?

იალ. რა შენი საქმეა? რომ მდომნოდა პირდაპირ თქმა, ვერ ვეტყოდი, მაჭანკლები რა საჭირო იყო? ან მაჭანკლად ხომ არ მიგგზავნე? მინდოდა გამეგო, თუ თამაზი რა აზრისაა თავის სძის მუხთლობაზე. რადგან

*) იხ. „ივერია" № 181 182 და 183.

ალმოსავლეთის მხრით აწერია ასომთავრულ ასოებით: „სახელითა ღვთისითა მეგლახაკმან ან..ნა (მუაში ერთი ასო აკლია) ვიწყე შენებად წმინდასა ამას ეკკლესიასა საყოფელსა წმინდისა ნათლისმცემლისასა სალოცველად. ადიდენ ღმერთმან ძლიერისა ბაგრატ აბხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისა და მეფისა ჩვენისა და საკსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის და მოსაკსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთათვის. ქორონიკონი იყო: სკბ.“ (ე. ი. 1002 წელი ქრისტეს აქეთ). 2) დასავლეთ მხრით კარებს ზემოდ აჩნია ასო მთავრული წარწერა, რომელიც ზოგს ალაგს წაშლილა, ქვა ჩამოშლა: «უფალო იესო ქრისტე შეიწყალე და ადიდე შენ მიერ და მებრ... მებრძოლი ბაგრატ მეფე აფხაზთა და ყოველ (ისა)... ძლევა მტერთა ზედა ხილულთა და უხილავთა“. 3) იმავე კარის მარცხნით აწერია ასო მთავრულად: «წმინდაო ნათლისმცემელო იოვანე და დიდ... რომელმან დოხ... დედოფალი... ცხოვრებათა“... «ქ. ქრისტე შეიწყალე თთ... ებისკოპოზი“. 4) სამხრეთის მხრით შენობაში ჩატანებულია ერთი ქვა უშნო ასო მთავრულის წარწერათა: „უფალო იესო ქრისტე ძეო ღვთისა ცხოველისაო და წმინდაო ნათლის მცემელო შეიწყალე... ნ“... რადგან ამ წარწერის შემდეგი არ მოიპოვება და სტრიქონები წარწერისა უკუღმა მოქცეულია, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წარწერა უფრო ძველის ეკკლესიისაა, რომელიც ბაგრატ მეფის III დროს დაუქცევიათ, და იმისი ქვები ახალ ეკკლესიისათვის მოუხმარებიათ მასალად. თაღები მთავარ ეკკლესიისა და, გუტერებისა ჩანგრეულებია, მაგრამ თუ ტაძარი ყავრით, გადაიხურა, ეს მკვიდრი შენობა კიდევ დიდხანს გასძლებს. ტაძარი ესე კიდევ მით არის შესანიშნავი, რომ სადიკენე და სამსხვერპლო არა აქვს და არც კანკელის ნიშნები ატყვია. სამხრეთის მხრით ჩინებულად გამოქანდაკებულია ორი ფარშავანგი, რომელთაც ნისკარტები შეუკონებიათ და რაღაცა უჭირავთ.

*** იმისივე სიტყვით, სურამიდგან ორის ვერსის სიშორეზე, წმიდა გიორგის პატარა ტაძარში, ყოფილა მაღალ ხელოვნურად გამოქანდაკებული ლურჯს ქვაზედ კანკელი ხატებითა (ბარელიეფი) და ჩუქურთმებით. ვიღაცას უბრძანებია ამ ძვირფასის კანკელის მოშლა, რადგან ბარელიეფი ლათინების საქმეა და არა მართლმადიდებელთა (sic!). ქვები დაუმტვრიათ, კარში დაუყრიათ. ამას წინად აქ ჯარი მდგარა და ეს ძვირფასი ნაშთი ჩვენის ხელოვნებისა დაუმსხვრევიათ ჯარის კაცებს, ნიმუშად წაუღიათ. ნატეხები და სხვა გადაუყრიათ. დარჩენილა მხოლოდ სამი ქვა: 1) ერთზე წმინდად ამოჭრილია მაცხოვარი მაკურთხეველი (არა ვგონებ ამ გვარ ხელოვნების ბარელიეფი სხვა ბევრი მოიძებნოს საქართველოში), მეორეზე—შესვლა მაცხოვრისა იერუსალიმში; მესამე ბარელიეფისაგან ნახევარი ღაა დარჩენილი. ახალი მოტეხილიც ეტყობა ქვებსა. იქ მცხოვრებმა დედაკაცმა მიამბო, რომ აქაური იუნკრები ამტვრევენო და ჯიბით მიაქვთო. როდის მოვესწრებით, რომ ჩვენმა ერთომ და განათლებულმა ახალგაზდობამ ამ გვარს ბარბაროსობაზე ხელი აიღოს... უსათუოდ საჭიროა, რომ ის ქვები ბამბაში გაახვიონ, კარგად შეკრან და საეკკლესიო მუზეუმში გაჰგზავნონ დასაცველად.

*** სოფ. არდონი (კავკავის მაზრა): სოფ. არდონში ორმა ოსმა ერთმანეთი მოჰკლეს. ერთს მოკლულთაგანს სოფ. სალუგარდანში დანიშნული ქალი ჰყოლოდა და თავი დაენებებინა რაღაც მიზეზის გამო. ამ ერთის თავდანებებული დანიშნული ქალი ახლა მეორეს ეთხოვნა და ამაზედ გადამტერებოდნენ ერთმანეთს. ამ თთვის დამდეგს, როცა მეორე, ე. ი., ვინც პირველის თავდანებებული დანიშნული ითხოვა, მინდორში თივის მოსატანად წასულიყო, პირველიც გამოსდევნებოდა უკან და აქ შეხვედროდნენ ერთმანეთს. ალარცერთს აღარ დაეხიენა უკან, ჯერ თოფები დაეცათ ერთმანეთისთვის და მერე ხანჯლები დაეშინათ. ორივე იქვე წაქცეულიყვნენ, ერთი-ურთისთვის მიეღოთ თავი და სული დაელიათ.

*** ბარის ოსები: ბარის ოსებში სასტიკ სიცხეს ჯერ არ უკლია; პურს ძლიერ მცირე გამოსავალი აქვს და კიდევ ეს არის მიზეზი, რომ, საწყაო პურისა, რომელიც დღემდის სამ აბაზად და სამ უზალთუნად იყო, დღეს ექვს აბაზად ჰყასობს, და ქერი სამ აბაზად.

*** სოფ. არბოდგან სწერენ გაზ. „Новое Обоз.“ რომ ამას წინად ერთს აქაურს გლეხ-კაცს პირში გველი ჩაუძვრა. გლეხმა პირველში დამჯდარა ეს ამბავი, არავის უმხელდა თავის უბედურებას, მაგრამ შემდეგ, როცა პირიდგან სისხლის ღებინება დაეწყო, გაამხილა საიდუმლო და ცოტა ხანს შემდეგ გარდაიცვალა კიდეცაო.

*** სექტემბრის თთვეში ეჩმიაძინში მირონი უნდა აკურთხონ. მირონის კურთხევა შვიდს წელიწადში ერთხელ იციან. ამ სარწმუნოებრივს დღესასწაულზედ დიდ ძალი სომხობა იყრის ხოლმე თავს ყოველ მხრიდგან. გაზ. „Кавказъ“-ი ამბობს, რომ ტფილისიდგანაც ბევრნი ემზადებიან წასვლას ამ დღესასწაულზედ დასასწრებადაო.

*** ამ თთვის 25, პოლიციის მეოთხე ნაწილში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. თუმანოვის სახლში, სტატსკი სოვეტნიკის თ. სულხან თუმანოვის სამწერლო სტოლიდგან 33 მან. მოიპარეს, ქურდობა დააბრალა თავისავე მოსამსახურეს ნიკოლოოზ არდაგაშვილს. გამოძიება სწარმოებს.

*** აგვისტოს 25, დილის 7 საათზე, ლაილაშის მცხოვრებელი სიმონ ჩხეტიანი ცხენს წყალს ალევინებდა, მტკვარმა გაიტაცა და ორივენი დაარჩო.

*** ამავე დღეს, დილის 10 საათზე, პოლიციის მერვე ნაწილში, ვიღაც უცხო ქვეყნელი ვეღაბრის ხიდიდგან გადავარდა და თავი დაირჩო. დამრჩვალის ვინაობა ჯერ ვერ შეუტყვიათ.

*** 26 ამ თთვისას, პოლიციის მესამე ნაწილში, ვარშავის ტრაქტირში, იარმუკაზედ, ტფილისის მცხოვრებელს ნიკოლოოზ სერგეის ძეს მესროფოვს მოჰპარეს 130 მანეთად ღირებული ვერცხლის ქამარი. ქურდი, ტფილისისავე მცხოვრებელი ბაგრატ სუხარულოვი, პოლიციამ შეიპყრო და სასამართლოს გადასცა. ქამარი-კი პატრონს დაუბრუნა.

*** 25 ამ თთვისას, პოლიციის მეათე ნაწილში, ბოქაულმა გლებოვმა და კრაპივინმა შეიპყრეს სათადარიგო ფელდფებელი დიაკონოვი, მწერალი ტკაჩენკო, სამსახურს გარეშე ვყოფი ფერშალი იშჩენკო და სათადარიგო ჯარის-კაცი მუხარსკი, რომელნიც ყალბს რკინის გზის მოსამსახურეთა ბილეთებს აკეთებდნენ თურმე.

*** 26 აგვისტოს, ტფილისის მცხოვრებელი არუთინ მუშრუბოვი, მივიდა მეტეხის ციხეში და ნება ითხოვა, მინდა ვნახო პატიმარი ვალი-ალი-ჰასან-ალი-ოღლიო, რომელსაც ექვსი წლით კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი. მუშრუბოვს ნება მისცეს და შესვლის დროს თან შეაპარა თურმე რკინის სახერხავი ხერხი, მაგრამ მალე შეუტყეს და შეიპყრეს.

*** ამავე დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, მუშტაიდის ბაღის ფარდულში, მტკვრის პირის მახლობლად, არდაგანის პოლკის შტაბს-კაპიტანმა ალექსანდრე ლეშკოვმა, რომელიც სამართალში იყო მიცემული და რომლის საქმეც ამ თთვის 27 უნდა გარჩეულიყო, ორჯელ რევოლვერი დაიცა და თავი მოიკლა. გარდაცვალებულის გვამი სანატომიო თეატრში გაჰგზავნეს. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ არ შეუტყვიათ.

*** ამავ დღესვე მარიამ შირაქოვმა, რომელიც ელისაბედის ქუჩაზე სცხოვრობს, გამოაცხადა, რომ 25 ამ თთვისას ტფილისის ჯარის-კაცმა ნიკოლოოზ ფომინოვმა მუშტაიდის ბაღში ჩემი 5 წლის უკანონო ქალის ძალმომრეობით გაუპატიურაო. ეს საქმე გამომძიებელსა აქვს გადაცემული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. პერევისა (შორაპნის მაზრა). სოფელი პერევისა განთქმულია სოფლის მდებარეობითა, მიწის ნაყოფიერობით და პურ-ღვინით. ეს სოფელი ზემო-იმერეთში განთქმულია შავის ქვის მადნით, ასე რომ ამ მხრით ვერც ერთი სოფელი ვერ შეედრება. აქაურმა შავმა ქვამ თავი ისახელა ტფილისის გამოფენაზე. მცხოვრებლებით პერევისა დიდი სოფელი არ არის: ას ოცი მცხოვრები გლეხი და აზნაურია; უფრო ნაწილს-კი აზნაურები შეადგენენ და სწორედ „აზნაურშვილურადაც“ ეკიდებიან თავიანთ საზოგადო საქმეს, სწორედ ნოეს კიდობანს რომ აშენებდნენ, მაშინ დაიწყეს აქ ერთის ეკკლესიის შენება და დღესაც ვერ აუშენებიათ. ეხლა-კი, მადლობა ღმერთს, ნახევარი კედელი აშენებულია. დიდის მადლობის ღირსია ქ-ნი ელენტია ამაშუკელის ასული წერეთლისა, რომელიც მეცადინეობს აქაურ მანდილოსანთა შორის, რომ ხელის-მოწერით შეკრიბოს ეკკლესიის გუმბათის ასაშენებელი ფული და ამით ცოტად თუ ბევრად სოფელს ხარჯი შეუმსუბუქოს.

კაი ხანია, პერევისაში ერთი საერო სასწავლებელი არსებობს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ამ სასწავლებლის საქმე დამპალ ძაფზე ჰკიდია. არც არის ეს სასწავლებელი და არის კიდეც. ჯერ ერთი სახლი არ უვარგა, გაცვლესავია, ამას გარდა სახლის იატაკი ღამის ან დღეს ჩაიქცეს და ან ხვალ, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევს. უმაწვილები სწავლის დროს სულ კანკალებენ შიშით, იატაკი არ ჩატყდეს და შიგ არ ჩავცვივდეთო! ეს თხუთმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ამ სასწავლებელს ერთი ხეირიანი მასწავლებელი არა ჰღირსებია, ვინც

---

მაგას ქალიც და სიძეც ფეხებზე ჰკიდია, ეხლა უნდა ჩემი საქმე მოვახერხო. ხომ კარგად იცი, რაცა მწადიან.

ლუკა. რასაკვირველია!

იალ. მაშ კლიტე დაიდე რაღა პირზე, თორე ხომ კარგად მიცნობ?

ლუკა. აბა, ხაზეინჯან, რა საჭირო მაგისთანები, პირველი საიდუმლოა?

იალ. სანდრო, შენც ხომ გესმის, რასაც ვამბობ?

სანდრო. რასაკვირველია, თუნდ წყლისათვის ჩაგიბარებიათ!

იალ. ჰო, იმას ვამბობ, რო მანამ საქმე არ გადაწყდება-მეთქი! ეხლა რომ ვერ მოხერხდეს, ქვეყნის სასაცილო გავხდე,—იტყვიან, ნახირში გაერია იალაღაშვილიო, მაგრამ სუ წიხლის კვრით გამოისტუმრესო!..

ლუკა } რა სათქმელია, განა
სანდრო } არ გვესმის?

იალ. აკი გითხარით, უნდა როგორმე დაუნათესავდე მეთქი მაგ თავადს, ერთად-ერთი შვილი მყავს, მინდა, რომ ცოტა კეთილშობილობა მიეცხოს, ხომ იცით, რომ თუმცა აქაცა ვარ მიღებული, იქაცა ვარ, მაგრამ კოტრი კნიაზები მაინც თავის სწორათ არ მიმიღებენ თავის დღეში, მაინც გულში გაქონილ მაკიტანს დამიძახებენ, ვიცი იმათ ყაიდა! — მინდა ერთი სიტყვით, კნიაჟნა მელანია ჩემ გიგოს შევრთო. პირდაპირ ლაპარაკს როგორ დაუწყებდი, ჩემი მოვალეა ერთი რამ ეგონება თავისი თავი, შენა, სანდრო? რას იტყვი? იმ ყაჩაღმა რა თქვა?

სანდრო. არაფერიც არ უთქვამს, აილო და მცემა შენ ჩემ დასთან რა საქმე გაქვსო, ან გიორგიზე მაგისთანა ლაპარაკის ნება ვინ მოგცაო? ერთი აყალ-მაყალი ამიტეხა, ცემა დამიწყო ზემო ბაზარში, თავზე ხალხი დამახვია, ქვეყანაში შემარცხვინა.

იალ. ის ბრიყვი, ის ბრიყვი! ბედოვლათია, ბედოვლათი. ან ვინა გკია რომ იმას ეკითხებით კიდევაც? ოცდა-ხუთ მანეთიანი ჩინოვნიკია; ორი დღე არ არი, კაკარდა მიუკრავს ქუდზე, თავის თავი-კი ერთი ვინმე ჰგონია. მაგან უფრო დააქცია თამაზის პატიოსანი ოჯახი!—მაშ წადი,—პირი წყლითა გაქვთ საცხე რაღა? (ორნივე მუნჯურად ანიშნებენ, თავს დაუკრავენ და გავლენ)

### II გამოსვლა

იალაღაშვილი მარტო

იალ. რა ერთგული პრიკაშჩიკები მყავანან! ეხლანდელ დროში მაგათთანა ხალხი ძვირფასია. თითქმის მარქაკლობასაც მიწევენ! მაშ სხვა ვინ გაიგებდა რასმე? დედა-კაცი ხომ არ მიიზავნება; დედაკაცი დედაკაცს უნდა ელაპარაკოს,—პაპეს-კი რა შეუძლიან? თუ თამაზი უარზე დადგა, ბაბე რას იზამს? დედაკაცი კი როგორ რას ეტყვის თამაზს, ერთი ხეპრე ვინმეა, ლაპარაკსაც არ აღირსებს! ხომ გაიგე, ოჯახი ფეხებზე ჰკიდია,—მაგრამ ან როდის არ ეკიდა! საკვირველი ხალხია ეს კეთილ-შობილები! ფული რომ უჭირდეს, მუხლზედაც დაგიჩოქებს და თავის დღეში-კი მეგობრად არ ჩაგთვლის, რაც უნდა იყოს, მაინც გულში კიდევ ის ექნება, თუ—ფული-კი მაქვს მაგრამ თუნდ მოკვდი, მაინც ვაჭარი ხარ; ხელს რო გაძლევ, წყალობას გიშერებიო, იმიტომ რომ ღარიბობას მებურნუთე იყავიო. როცა-კი ფული გაუჭირდება, როგორ მაიბუზება, ასე გონია ქვეყანაზე იმაზე პატარა ღმერთს არა გაუჩენია რა. რომ მინდოდეს, პამპულასავით ვათამაშებ. ჯიბეში-კი რომ ჩაიდებს ხოლმე ფულსა, მაშინ ბატონივით დაგიწყებს ცქერას, ასე გონია ის-კი არ არი შენი მოვალე, შენა ხარ იმისი; იმაზე ხომ აღარა ფიქრობს, რომ ერთ დღეს, რაც რამ აბადია, სულ ვალში უნდა დამრჩეს! ერთხელ თამაზმა რომ მითხრა, რომ ჩემ მამულებს ავიღებ და აზნაურების ბანკში დავაგირავებო, მეც ამოუღე და უჩვენე ზალოგების ქაღალდები ნატარიუსით დამტკიცებული, რომ ნება არა აქვს, სხვაგან სადმე დააგირაოს; ძალიან გაუკვირდა, როდის დაგვიწერიაო,—აღარც-კი ახსოვდა! ეხლა იმისი სულიცა და ხორციც ჩემ ხელთ არის, ვიცი, რომ მოუხერხებ საქმეს! ან რა ტუტუცი იქნება შიმშილით მოიკლას თავი? უნდა ავასრულო ჩემი უკანასკნელი წადილი. მე რომ ძაღლობა გამოვიარე, შვილმა მაინც ბატონობა გასწიოს! მაგის მეტი ვინა მყავს? მოვალე ვარ, მოვალე, როგორც მამა, ვეცადო, ბედნიერება ნახოს ჩემმა შვილმა. უნდა დავანახვო თამაზს, რომ ზერის გირავნობის ქაღალდს უფხრეწ, ასე იგი სამოც თუმან ფულს, როგორც თხილს, ვაჩუქებ, სხვა ზალოგის ქაღალდებს-კი მელოს ვუფეშქაშებ, რაც უნდა უყოს; რაც-კი მაბადია, ხომ სულ გიგოსია! იმ გიორგიმაც კარგი სამსახური გასწია; სხვას ირთავს; ჯერ-კი თამაზმა არ იცის ნამდვილად, მე-კი გამიგია, თითონ მითხრა ჯვარი უნდა დავიწეროვო, ერთი ასიოდე თუმანი მასესხეო; უარი არ უთხარი: ვიცი რომ არ დამეკარგება, მოსასვლელია, ფული უნდა ჩაიბაროს; ოცი თუმანი კიდევ მაკლია, ბანკიდამ უნდა გამოვიტანო.— (დაფიქრდება) არა, უარს არავინ იტყვის, გაუხარდებათ კიდევაც; უარი რო თქონ, ზამთარში შიმშილით ამოწყდებიან; ის სოლომა ცოტა ავ-ბედა ძაღლია, მაგრამ (ხელს დაიქნევს) იმას რა შეუძლიან?—მელო რომ გაიგებს, რა ნაირად მაატყუა იმ მუხანათმა, გაჯავრდება, ჯაბრზე მაიქცევა, გიგოს უარს არ ეტყვის. ჯერ მაინც კარგად ვერ იცნობენ ერთმანეთსა, თორემ აქამდის ჩემი შვილი მელოს გულში ვისმეს დააყენებდა? ჰკვიანი, მოხდენილი შვილი მყავს; ნასწავლი არ არის, მაგრამ სწორეთ კეთილშობილის მიხვრა-მოხვრა აქვს! თითონაც ძალიან მოსწონს ქალი, დარეტიანებულია იმის ეშხით საწყალი ბალღი; ოლონდაც რო ეშხიანი ჭკვიანი ვინმეა. უნდა შევრთა, რა გამოვიდა! (აიღებს სტოლიდგან კოლოფს) ეს ალმასებით მორთული ოქროს ბრასლეტი სწორედ სამოცი თუმანი ღირს, დღეს გიგო მიართმევს ისე რაღა, როგორც უბრალო რამ საჩუქარს. ქალი, რაც უნდა კლდე იყოს, ოქროს წინ თვალებს დახუჭავს და მოლხვება, როგორც ალზე წმინდა სანთელი. (სცენის უკან მოისმის გიგოს ხმა: „მამა ჩემო, მამა ჩემო“) რას მეძახის ნეტა? რაო შვილო, აქა ვარ?

### III გამოსვლა

იალაღაშვილი და გიგო
შემოდის აბურძგნული

გიგო. მამა ჩემო, მამა ჩემო! აქა ხარ? რა არის, კაცო, რა ნაირი გადარეული ოჯახობის პატრონი ხარ, ადამიანს ნივთი ადგილზე ვერ დაუდევია.

იალ. რა იყო, შვილო, რა დაგეკარგა? სისხლს რაზე იფუჭებ, იქნებ აქ არის! რა დაიკარგა?

გიგო. რად იფუჭებ, როგორ სისხლი არ გამიფუჭდეს, როცა პორტსიგარი დავკარგე, მთელი დილა ვეძებ, ვერსად ვერ მიპოვნია! ის რომ დაიკარგოს, ერთ აყალ-მაყალს ავტეხამ, ჩემ თავს მირჩევნია. დედაც კრუსუნებს, აბა, შვილო, სად დადე, აბა, შვილო, სად დადე? რომ ვიცოდე, ლაპარაკი ძალიან მეხალისება? სკივრებს აქოთებს, აბა სკივრებში რა უნდა, წუხელი პორტსიგარი ჯიბეში მქონდა!

მოვიდა, ყველა აქაურ შავის ქვის ნოქრების და მწონლების ფეხის ხმას აჰყვა; სახლი გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ხან აქეთ ხან იქით; სკოლა კი უპატრონოდ იყო მიგდებული და არც არავინ სწავლას დაეძებდა და არც არავინ უსწავლელობას. ღვთის წინაშე, დირექციაც კარგად ადევნებდა მასწავლებლებს თვალ ყურს და მალე აშვებდა. სულ ახალ-ახალი მასწავლებლები მოდიოდნენ და სხვათა შორის ესლაც ახალი მასწავლებელი ჰყავს ჩვენ სასწავლებელს. ღმერთმა ჰქმნას, რომ ამას მაინც არ გამტყუნებინოს ჩვენი იმედი.

პერევისაში ამ ჟამად დიდ-ძალი ხალხი ტრიალებს შავი ქვის სამუშაოდ, მაგრამ არაფერი ხეირიანი დროს გასატარებელი და გასართობი არა არის-რა, გარდა უზომოდ ღვინისა და არყის სმისა, ხმლისა და ხანჯლის ტრიალისა და კაცის ჩეხვისა. სწორედ გვკვირდება კაცი ჩვენის ნოქარ-ამწონლების ცქერით. ამათს ყვირილს, წივილ კივილსა, ფლეთა-გლეჯას და უზრდელს ლანძღვა-გინებას დღე და ღამ დუქნებში საზღვარი აღარა აქვს. ყურთა სმენა აღარ არის ამათი მიზეზით!.. ჩვენი ამბავი შეიტყეს ვიღაც ცირკის მასხარებმა და მოგვადგნენ კარებზე და ფულებიც ბლომად მოაგროვეს. იმათის წარმოდგენების წყალობით ერთი აქაური გლეხის შვილი, გვარად მ—ძე, ჭკუიდგან შეიშალა. საბრალო ერთ საღამოს წყლის მოსატანად წასულიყო წყაროზე, აქ შემოღამებოდა, რაც წარმოდგენაზედ ენახა, ის მოლანდებოდა და მეტის-მეტის შიშისაგან ჭკუაზე შემცდარიყო. მას აქეთ საბრალო მამას ხან აქეთ და ჰყავს და ხან იქით საქიმოდ, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერი ეშველა.

თუმცა აქამდე ჩვენს ბარობაზე არა იყო-რა გასართობი და დროს გასატარებელი, მაგრამ ამ ბოლოს ხანს, როგორც იქმნა, ჩვენც გვეღირსა ქართული წარმოდგენა და მერე ისიც საზოგადო საქმის სასარგებლოდ. ხუთ აგვისტოს ქ-ნის ელენტია ამაშუკლის ასულის წერეთლის მეცადინეობით პერევისის სასწავლებლის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა გან. დ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულ ფონდისა და აქაურის სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა: „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ და „კაპიშონი“; იმღერეს ქართული ხმები; წაიკითხეს ლექსები და სცენები.

მონაწილეობას იღებდენ: კნეინა ნინო წერეთლისა, ლუბა წერეთლის ასული, ს. წერეთლისა; ბ. პ. ცქიტიშვილი, ბ-ნი წერეთელი და სხვანი. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. კნეინა ნინო ფალავანდიშვილისამა და ლ. წერეთლის ასულმა, წარმოდგენას გარდა, სხვა-და-სხვა ქართულის ხმის სიმღერებითაც ძლიერ ასიამოვნეს საზოგადოება. დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც-კი ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო, განსაკუთრებით-კი ქ-ნი ელენტია წერეთლისა, რომელმაც ამ წარმოდგენის გამართვა იკისრა. ამ პატივცემულმა ადამიანმა ზოგიერთი სასცენო ნივთი შეიძინა წელს, ზოგის შეძენასაც მერმისთვის აპირობს და განზრახვა აქვს ზაფხულობით ზემო იმერეთის სხვა-და-სხვა დაბა სოფელში წარმოდგენები ჰმართოს საქველ-მოქმედო აზრით. კეთილ განზრახვის ხელის შემშლელი არსად დაჰკარგვია და არც ჩვენში დააკლდა. წარმოიდგინეთ, ზემოხსენებულ წარმოდგენისა ადგილობრივი ბოქაულისაგან ნებართვა აღებული გვქონდა, ყველაფერი მზად იყო, საზოგადოება შეიკრიბა, ბილეთები გაიყიდა და უნდა შევსულიყავით და ჩვენს ადგილზე დავმსხდარიყავით, მაგრამ ამ დროს შემოვიდა აქაური მამასახლისი, ჩადგა სახლის კარებში და აღარავის უშვებდა. თურმე ნუ იტყვით, ოცი მანათი ითხოვა წარმოდგენის ნებართვის მიცემისათვის! მანამ ბოქაულის მოწერილობა ხელ-მეორედ არ მიიტანეს ჭიათურიდგან, სახლში არავის უშვებდა, თუმცა პირველი მოწერილობაცა და ბოქაულის ნება-რთვაც კანონიერი და საბუთიანი იყო.

ს. ი—ლი.

## რუსეთი

ნავთის ხმარება თან-და-თან უფრო და უფრო ვრცელდება და ქვის ნახშირისა და შეშის ადგილს იჭერს. გემებზედაც კარგა ხანია შემოიღეს ნავთი, მაგრამ მხოლოდ იმ გემებზე, რომელნიც მდინარე ვოლგასა და კასპიის ზღვაზე მუშაობენ. ამ ჟამად რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოებას განზრახვა აქვს, ნავთი იხმაროს იმ გემებზედაც, რომელნიც შავს ზღვაზე არიან. გემ «სინეუსზედ» უკვე სცადეს და დარწმუნდნენ, რომ ნავთით გახურება ბევრითა სჯობია ქვის ნახშირით გახურებას. ჯერ ერთი, რომ იაფადა სჯდება, და მეორეც, მეტი სისუფთავე შეიძლება დაიცვან ნავთის ხმარების დროსა, ვიდრე ქვის ნახშირის ხმარების დროს. ამას გარდა ნავთის შემწეობით შესაძლოა ხანგრძლივ ერთი და იგივე ზომის სითბო დაიჭირონ ადამიანმა და ეს ხომ აუცილებელი საჭიროებაა გემისათვისა.

— რუსეთის მეურნეობისა და ვაჭრობის დამახმარებელმა საზოგადოებამ ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს ის საგანი, რომ წელს კრება მოვახდინოთ ქაღალდის ქარხნების პატრონებისაო. შემდეგ ამ საგნის განხილვისა, საზოგადოება თავის თხოვნასა და მომავალ კრების პროგრამას ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს დასამტკიცებლად. თხოვნაში ვრცლად იქნება მოხსენებული ყველა ის საგანი, რომელიც მექარხნეთა კრებამ უნდა განიხილოს. საჯარო ხარჯს კრების მოსაწვევად თვით ამ საქმის მეთაურები კისრულობენ.

— „Од. Вѣст“-ში ნათქვამია, მოგილევის გუბერნიის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ ებრაელი მოხელეები განიდევნონ იმ საადმინისტრაციო დაწესებულებიდგან, სადაც სამხედრო ბეგარაზე გამოსაყვან კაცების სიები სდგებაო. ეს ამბავი ამოუკითხავს «Гражданинъ»-ს და თავის მხრივ დასძენს, რომ დროა ამ ნაირი კანონები ყველგან შემოიღონ, სადაც-კი ებრაელები მოსახლეობენო.

— ამას წინად პეტერბურგიდგან ველოსიპედით სამგზავროდ წავიდა ბარონ კოლლესკრაუსი. ეხლა ვიღაც ორი ხუმარა გამოჩენილა, რომელთაც ჰსურთ, ველოსიპედებითვე გაემგზავრონ და დაეწიონ კოლლესკრაუს. ამ ყმაწვილებს თან ერთი ბოთლი შამპანიური ღვინო მიაქვთ, როდესაც დაეწევიან, ამ ბოთლს გახსნიან, დალევენ ერთად და შემდეგ ისევ უკან დაბრუნდებიან.

— გზათა სამინისტრომ შემდეგი განკარგულება მოახდინა. ყველა რკინის გზაზე ვაგონების ფანრებში აკრძალულია ზეთის ხმარება. ფანარი ყოველთვის დაკეტილი უნდა იყოს. ერთის ვაგონიდგან მეორეში გასასვლელად ყოველთვის ღია უნდა იყოს კარები და ამასთანავე ყველა ვაგონში ორიდგან ექვს თუნგამდე წყალი უნდა ინახებოდეს. ეს განკარგულება იმან გამოიწვია, რომ ვაგონებში მალ-მალე აღარ გაჩნდეს ცეცხლი და თუ გაჩნდა, დროზე გააქრონ ხოლმე და შიგ მყოფთ არა ევნოთ-რაო.

— აი სიმღერის მოყვარულობა თუ გაგიგონიათ, სწორედ ამასა ჰქვიან. 7 აგვისტოს ალექსანდრიის მაზრის სოფელ ბრატოლიუბოვკაში ებრაელებს ქორწილი ჰქონდათ. ქორწინების წესის შესრულება ებრაელებმა ღია ადგილას იციან. ამ ხელადაც ქუჩაზე გამოიყვანეს თურმე ქალ-ვაჟი და დაიწყეს წესის შესრულება. აურებელი ხალხი მოგროვდა საცქერლად იმ ფანჩატურთან, რომელს ქვეშაც ნეფე დედოფალი იდგა. სხვათა შორის მობრძანდა თურმე ადგილობრივი ბოქაული ხარჩენკოც, შეჰყო თავი ფანჩატურში, და როცა გალობა დაიწყეს, ბანი თითონაც მისცა. ამას არ დაჯერებულა ეს ახირებული ბოქაული, თან ლოტბარივით ხელს იქნევდა თურმე და როცა გათავდა ერთი საგალობელი, ითხოვა გაიმეორეთო. ისე გაეტაცებინა სიმღერას ბ-ნი ხარჩენკო, რომ გათავებას აღარ აპირობდა. სხვები რომ ათავებდნენ, ეს კიდევ თავისას გაიძახოდა თურმე.

## წვრილი ამბები

პარლამენტში წარდგენილ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ მთელს ინგლისში რკინის გზებზე უბედურებისა გამო მომკვდარა 1,706 კაცი და დაჭრილა 4.836. ამათში მგზავრია მოკლული 185 და 1,829-იც დაჭრილი. წელს ყველა რკინის გზაზე მთელს ინგლისში 775183073 ბილეთი გაყიდულა, ასე რომ 4,236 მოგზაურზე ერთი მოკლული მოდის და 423 280-ზე ერთი დაჭრილი.

— სამეცნიერო კრიტიკამ დაამტკიცა, რომ ვილჰელმ ტელისა და გესლერის ამბავი მოგონილიაო. ამიტომ შვეიცარიის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებიდგან ამოშალეთ ეგ ორი ამბავიო.

— ლონდონის სამეფო ბაღოსნობის საზოგადოება ყოველ წლივ რამდენსამე ათასს ქილებში ჩარგულ ყვავილებს აჩუქებს ხოლმე ღარიბ ყმაწვილებს, რომ ამ გზით იმათი მოვლა-მოშენება ასწავლოს. ზამთარში ჰმართავს ყვავილების გამოფენას და რომელი ყმაწვილიც უკეთ მოვლილს ყვავილს წარადგენს, საჩუქარი ეძლევა.

— მინნესოტის შტატში გამოდის თურმე ერთი გაზეთი დაპატიმრებულთათვის. რედაქტორადაც ერთი ტუსაღია, რომელსაც დიდის ხნითა აქვს გადაწყვეტილი ციხეში ჯდომა. გაზეთის სახელად „Prison Mirror“ ეწოდება და 4,000 ხელის მომწერი ჰყავს.

— პარიჟში გარდაცვლილა ფრიად შესანიშნავი ქალი ვიქტორია ტოტინი. ვიქტორია სწორედ საშუალო სიმაღლისა ყოფილა, მაგრამ ისეთი სისქე ჰქო-

---

იალ. გული დაიმშვიდე, შვილო, აქ იქნება; ამ სახლიდგან ჯერ ნემსიც არ დაკარგულა.

გიგო. ეჰ, კარგი, თუ ღმერთი გწამს, შენც მოჰყევი! მაშ მიპოვნე რაღა, მე-კი დავიქანცე ძებნითა და!

იალ. ვიპოვნი, შვილო, აბა რადა ჯავრობ? რომ ვერ ვიპოვოთ კიდეც, თუნდ ათ იმისთანას მოგიტანინებ დღესვე.

გიგო. მომიტანინებ! აბა ერთი რომელ მაღაზიაში იყიდი? მე დავიდარაბის თავი არა მაქვს, მიპოვნეთ (სავარძელში გადაწვება).

იალ. შენ დამშვიდდი, არა დაგეკარგება რა. სალომე, სალომე!

IV გამოსვლა

იგინივე და სალომე

შემოდის გაფაციცებით

იალ. იპოვნე პორტ-სიგარი?

სალომე. ვერა, გენაცვალე, გიგო, მთელი სახლი გადავაქოთე. ნამდვილად იცი, გენაცვალოს დედა, რომ სახლში დაგეკარგა?

გიგო. ხათაბალაა? მაშ სად დამრჩებოდა, ერთი მითხარ?

სალომე. იქნება წუხელ ბაღში დაგრჩა, ნასვამი იყავ, ვეღარ-კი შეამჩნევდი, გენაცვალოს დედა, როგორ ამოგვარდებოდა ჯიბიდგან.

იალ. ჰო, აბა, შვილო, გაიგონე, იქნება მართალსაც ამბობს დედაშენი?

გიგო. რა ვიცი, მე თქვენი თელავის ზაკონები არ ვიცი; ქალებში ვიყავი, ქალები ხო არ მამპარავდნენ; მაშინ დავაჩხრეკ, ისე რომ ზიარებაც ვერ მიასწრონ.

იალ. სწორედ იმათში დაჰკარგავდი; აბა ერთი მითხარ, იმათთანა ხალხს რა სინიდისი უნდა მოეთხოვოს?

გიგო. გაფუჭებული ყოფილა ეს თქვენი თელავი; ქალაქში არც ერთი ქალი მაგას არ იკადრებს.

სალომე. ნუ აჰყოლიხარ, გენაცვალე, ცუდ ხალხს, ე მანდ არა აგიტეხონ-რა!

გიგო. დედა ჩემი ჭკუას მასწავლის, ვერ უყურებ, მამაჩემო? ჰა, ჰა, ჰა!..

იალ. შვილო, ცოტა ზომიერად მოიქეცი, ქვეყანაში სახელს გაიტეხამ.

გიგო. თელავიც ქვეყანაა? ჰა, ჰა, ჰა!..

სალომე. ავად ხომ არა ხარ, რა ცუდი ფერი გადევს? გული ხო არ გერევა, გენაცვალოს დედა?

იალ. ხო, მართლა უქეიფოდ ხომ არა ხარ? ვერა ხარ ფერზე.

გიგო. საქმე გამოგწყვეტიათ თქვენცა? ნაბახუსევი ვარ, ცოტა გული მერევა, ერთ არაყს დავლევ, გადამივლის.

სალომე. წამო, გენაცვა, თბილ წყალში ფეხები ჩაყავ, ბაღში გაცივდებოდი; ცოტა ხან ოფლი მოიდინე და გაგივლის.

გიგო. მჰწ, არა მიჭირს რა მეთქი!

სალომე. (ეხვევა გიგოს და შუბლზე ჰკოცნის) ამ ერთ თთვეს როგორ გამიხდი, მოგიკვდეს დედა!

გიგო. (იშორებს და გაჯავრებით შუბლს იწმენდს) ეჰ, კარგი; მამა გიცხონდა, რად იცით გულის გაწვრილება!

იალ. კარგი, ნუ აწუხებ, გადი შენ ოთახში.

სალომე. ნუ გაჯავრდები, გენაცვალოს დედა! ხომ ხედავ შვილო, დავბერდი, ჭკუა დამაკლდა!

იალ. კარგი, წადი! (სალომე გადის)

V გამოსვლა

იალალაშვილი და გიგო

გიგო. რა უცნაური ხალხი ხართ! რად იცით ეგრე გულის გაწვრილება? წინადაც ამ ხასიათებისა იყო დედა ჩემი? მოსვენება არა მაქვს არც დღე, არც ღამე: შედის და გადის, შედის და გადის, ხან შუბლს გამისინჯავს, ხან მაჯას, სულ-კი უნდა მლოღნოს, ღამე სულ ოფლში ვიწურები; ამისთანა სიცხეში საბანი ვერ გადამიხდია; უეჭველად უნდა ზედ წამაფაროს, ასე გონია მიცვალებული ვიყო!

იალ. ნუ ჯავრობ, გიგო, ძველებური დედაკაცია, სხვა ნაირად იცის შვილის სიყვარული.

გიგო. ეჰ, თქვენც რომ სიყვარულზე ლაპარაკობთ! კარგი, ჰო, აბა შენ ეს მითხარი, პირობაზე როგორა ხარ?

იალ. ვცდილობ, შვილო, ვცდილობ. იმედი მაქვს, უეჭველად მოვახერხებ.

გიგო. მე-კი სული დამელია-და! აბა შენ რას გაიგებ, თორემ იცი, რა არის ჯერ გაუფურჩქნელი კოკორი, რომელიც შენს მკლავზე უნდა გადაიშალოს? ვარდის კოკორი გინახავს, მწვანე ფოთლები რომ მალავენ? უცებ გაიშლება და დაგარეტიანებს! იცი? იცი?.. ეჰ, რა იცი, როგორ გაიგებ?

იალ. ეჰ, შვილო, დავბერდი მაგისთანებისათვის. მანდა უეჭველად შეგრთავ, კეთილ-შობილი ქალია და ძალიან პატიოსანიც; ისეთი ქალია, რომ ცალი არა ჰყავს კახეთში!

გიგო. ზედვე ეტყობა. რო შემოგხედავს, სწორედ ცეცხლს გესვრის; ასეთები მიყვარან; ამისთანებმა იციან აი,—თუ მოგეხვევიან, ან თითონ დაგაკვდებიან ან დაგარჩობენ!

იალ. ღვთის წინაშე, ქალია ქვეყნის თვალი.

გიგო. კარგია, მაშა! ქალაქში ვის არ ვიცნობდი, მაგრამ მაგისთანაი არავინ მომწონებია; ის უფრო მკლავს, რომ ჯერ გაუშლელია და პატრონს ელის. მამა ჩემო, ჩქარა მოახერხე, თორე მე თითონ გამოუცხადებ ჩემ სურვილს,—მერე ვინმე გაუძლებს ჩემ სიყვარულის გამოცხადებას?

იალ. შენც ეცადე, შვილო, დღეს უნდა მივიდნენ ჩვენსა. აი ეს ბრასლეტი, შეხე რა მშვენიერია! სამოცი თუმანი ღირს წუხელ ქალაქიდამ მამივიდა.

გიგო. რა მშვენიერი რამ არი! ყოჩაღ მამაჩემო! ეს უნდა ვუფეშქაშო დღესვე, რომ ერთი დარეტიანდეს.

იალ. უფეშქაშებ, მაგრამ თავმდაბლობით-კი მოიქეცი, ცოტა ამპარტავანი ქალია. მამასაც უნდა უთხრა, რო მიაღებინოს საჩუქარი.

გიგო. ეხლა ძალიან დაჩვეულია ამისთანებს?

იალ. არ არი, მაგრამ... ხომ იცი თავადების ამბავი? გირჩევნია, შვილო, მე დამიჯერო, უფრო ჭკუას ახლო იქნება.

გიგო. ეჰ, შენცა! მასწავლე ქალებთან ლაპარაკი! ჰო, კარგი, მაინც შენ დაგიჯერებ: რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო. რა კარგი რამ არი! რას ამობ, ქალაქში ამ ბრასლეტით ცის ანგელოზს ვიყიდდი! (მხარზე ხელს დაჰკრავს) ყოჩაღ, მამაჩემო!

იალ. მოგეწონა, შვილო? მოითხოვე, რაც გინდა; რა დამიჭერია შენთვის?

გიგო. (კისერზე ხელს მოჰხვევს) კარგი მამა მყევხარ. შენ რო არა მყევნდე, ხო უნდა ბერად შევსულიყავი!

იალ. (თვალებს იწმენდს) გმადლობ შენ, უფალო, რომ სიბერის დროს მაინც არ დამაგდე უნუგეშოდ! გენაცვალოს მამა, შვილო! (ეხვევა და ჰკოცნის)

გიგო. (იცინის) განა, მამაჩემო, შენც იცი ნაზობა?

(შემდეგი იქნება)

ნია, რომ წონით 12 ფუთი გამოდიოდა თურმე. მიუხედავად ამისა, ტოტინი მაინც ლამაზი იყო თურმე სახით. მშობლებს მოუნდომებიათ, რაიმე სარგებლობა ენახათ ამ იშვიათის შვილისაგან, და ერთი კაცისთვის მიუციათ ხალხს აჩვენე ხოლმე და ფული იღეო. ისიც ჯერ-ჯერობით დათანხმებულა, მაგრამ შემდეგ ისევ მშობლებისთვისვე დაუბრუნებია, რადგან ძლიერ მცირად უჯდებოდა თურმე ამ ქალის ერთის ადგილიდგან მეორეზე გადაყვანა. საწყალი ვიქტორია იმ სისქე ყოფილა, რომ სიარული აღარ შესძლებია. ოთხიდგან გამოსაყვანად რვა ღონიერი მუშა სჭირდებოდა თურმე. ტოტინი წითელ ქარისაგან მომკვდარა, ისეთი უზარმაზარი კუბო დასჭირებია, რომ კარებში ვეღარ გამოტეულა. ჯერ კედლის ნგრევა დაუწყიათ, მაგრამ შემდეგ ათს მუშას ძლივს ძლიობით ფანჯრიდგან გაუტანიათ კუბო.

— ლავორულ გაზეთში სწერია, რუნგპორის ინდოელთა კეთილშობილ საზოგადოება მეტის მეტად შეაძრწუნა იმ გარემოებამ, რომ ორმა მათმა წარმომადგენელმა ცოლები გაუცვალეს ერთმანეთს და ეს ამბავი ხანგრძლივის ნადიმით იდღესასწაულეს, თუმცა ამ გვარი ამბავი ახალი არ არის ამ ქვეყანაში.

— პარიჟის თეატრს „Opera"-ს შეუკვეთნია ბურგო დუიკუდრესთვის ახალი პიესა „თამარი". ეს პიესა პარიჟის გაზეთების სიტყვით, შემდეგის შინაარსისაა. 80 დღეა, რაც „სპარსეთის სულთანი" ჯარით შემორტყმია ქალაქ ბაქოს და უნდა შიმშილით დაიმორჩილოს გებრები. მაგრამ აი გამოჩნდება ქალი თამარი, რომელიც მზად არის თავის სიცოცხლე და ქანწულება შესწიროს, ოღონდ-კი სამშობლო გამოიხსნას მტრისგან. მიდის ეს ქალი, ღამე მტრის ბანაკში სულთანის მოსაკლავად, მაგრამ სულთანი ისე ალერსიანად უხვდება ამ სტუმარსა, რომ მოკვლის მაგიერ თამარს სიყვარული გაეღვიძება გულში სულთანისა. ბოლოს მაინც სამშობლოს სიყვარული სძლევს, ჰკლავს მძინარე სულთანს, ცეცხლს უკიდებს მტრის ბანაკსა და თითონ ბაქოში მირბის. გებრები იმარჯვებენ, სპარსელები უკუ იქცევიან, ისმის გიჟინი გამარჯვებისა, მაგრამ თამარს აგონდება სიყვარული სულთანისა და თავს იკლავს.

# დეპეშა

24 აგვისტო

პეტერბურგი. პოდპორუჩიკი დიდი მთავარი სერგეი მიხეილის ძე დათხოვნილია რუსეთსა და საზღვარ-გარედ 8 თთვით.

სამარყანდი. 30 აგვისტოს აქ დაიწყებს მოქმედებას სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

ბუხარა. ემირი აქ ბირჟას აარსებს საბირჟო კომიტეტითურთ. ბირჟის ოპერაციები რუსეთის ბუხარელ საპოლიტიკო აგენტის ზედამხედველობის ქვეშ უნდა იყოს.

ათინა. სალონიკებში დიდი ცეცხლი გაჩნდა; ერთსა და იმავე დროს დაიწვა ქალაქი 8 ადგილას; ბერძენთა შენობანი და ევროპიული ნაწილი სულ ერთიანად გადაიბუგა; ხალხიც ბევრია დაღუპული.

25 აგვისტო

სტამბოლი. ხანგრძლივ აღელვებულ კამათობასა და მოლაპარაკებას შემდეგ სომხთა საერო კრებამ გადასწყვიტა, რომ ნუ შეეიწყნარებთ პატრიარქის თხოვნას თანამდებობის თავ-დანებებისას და რადგან სულთანი ცოტა რასმე დაგვპირდა, მოეიცადოთ. პატრიარქის საქმის გადასაწყვეტად სულთანმა კომისია დანიშნა.

26 აგვისტო

პეტერბურგი. გუშინ საღამოს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე პეტერგოფიდგან ეოლინის გუბერნიაში წაბრძანდნენ ალლუმეზედ დასასწრებლად როვნოს ახლოს. ალლუმეზედვე დაესწრებიან: დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, თ. ნიკოლოზ მაქსიმილიანეს ძე რომანოვსკი და პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა. როვნოსავე წავიდნენ: სასახლისა და სამხედრო მინისტრი, იმპერატორის მთავარ-სადგურის უფროსი და ამალა.

როსტოვი. (დონისა). დღეს, ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზედ, აქ საგანგებო მატარებლით მობრძანდა ფინანსთა მინისტრი და თანვე ახლდა დირექტორი ვიტტე. რკინის გზის სადგურზედ მინისტრს დაუხვდნენ სამხედრო და სამოქალაქო წოდების მოხელენი, სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი, ქალაქის თავი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი და წოდებათა წარმომადგენელნი. მინისტრმა ქალაქში დაათვალიერა იმპერატორის ალექსანდრე II-ს ძეგლი და შემდეგ დეპუტაციები ინახულა. 7 საათზედ მინისტრის პატივსაცემლად სადილი გაჰმართა ქალაქმა და ვაჭრობამ. 10 საათზედ მინისტრი საგანგებო მატარებლითვე კავკავის გზით ნოვოროსიისკში გაემგზავრა.

ჰელსინფორსი. გენერალ-გუბერნატორმა კუოპიოში გუბერნიის თანამდებობის კაცნი მიიღო და სიტყვა წარმოსთქვა. ამასთან რუსულად სთქვა: „სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ერთგულნი ხართ ჩვენის საყვარელის ხელმწიფე იმპერატორისა, ხოლო არიან ისეთნიც, რომელთაც უნდათ მთავრობას ნდობა დაუკარგონ. მაინც-კი იმათ ერი ვერ აიყოლიეს თავის ნებაზედ და ამიტომ ჩვენი ხალხი შემდეგშიაც სტკბებოდეს მშვიდობიანის განვითარების ნაყოფით. თუ რუსულს გაზეთებში ფინლიანდია ხშირად ავად და მტრულად იყო ხსენებული, ეს გარემოება არ უნდა გაწუხებდეთ, რადგან ზოგიერთმა ფინლიანდიელებმავე მისცეს მიზეზი. მშვიდობიანად უნდა დავუხვდეთ ამ გარემოებას და იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ ჩვენი საყვარელი ხელმწიფე იმპერატორი მამობრივად ჰზრუნავს ჩვენთვის და ყველა თავის სხვა-და-სხვა ეროვნების ქვეშევრდომის კეთილ-დღეობას არის მოწადინებული.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ყიზლიარის ღვინო შარშანდელზედ ცოტა ნაკლები მოიტანეს, სულ 900,000 თუნგამდე. ვაჭრობა შარშანდელზედ ხეირიანად სწარმოებს. ფასად სამი თუნგი 25 და 50 კაპ. ძვირად იყიდება. ხარისხის დაგვარად სამი თუნგი $2^1/_2$ დგან 4 მანეთამდე იყიდებოდა.

პეტერბურგის ბირჟა, 24 აგვისტო.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 5 $47^1/_2$ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 129 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 11 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 229 | — „ | — „ |
| — მეორისა | — „ | — „ | $217^1/_4$ |
| — მესამისა | 214 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | $100^1/_4$ |
| ქუთაისის ბანკისა | 100 | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | $89^1/_4$ | — „ | — „ |

# განცხადებანი


## დეპო რიკრიკებისა

გამართული გვაქვს დეპო რიკრიკებისა და კურსი გამოჭრისა და გადაკეთებისა კაცისა და ქალის საგანგებო ტანისამოსისა და კორსეტებისა. სამაგალითო რიკრიკები გვაქვს და 50 კაპ. ვყიდით თითო ცალს შინაურსა და სხვა ხელოსნოთათვის. ტანისამოსის გამოჭრის სასწავლებელი. ვასწავლით ყოველ გვარ სახის ტანისამოსის გამოჭრას. ამას გარდა ვწმენდავთ დალაქავებულს ტანისამოსს, ფარდებს, არშიებს, ტყავებსა და სხვ. სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს დაუყოვნებლივ ვასრულებთ.

ი. გ. დეიკარხანოვი, მიხეილის ქუჩაზედ, № 53. (3—3)

„სიჭაბუკის ცოდვა"

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს — Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—16)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

## კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოვებული ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები გნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი უველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—39)




ტფილისის გამოფენა




ვერცხლის.




ოქროს.

## ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

## А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო-ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—16

ოქროს




## თამბაქოს ფაბრიკა

მედალი



## ნ. ი. ბოზარჯიანცისა

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭერილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ დასწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—10)


Доз. ценз Тифлисъ, 27-го Августа 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melик., д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავ ჭავა